საქართველო

N 1 (78) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 1 იანვარი, 1944 წ.

გილოცავთ ახალ წელს!

მეხუთეჯერ დღესასწაულობენ ახალ წელს ამ ომის მანძილზე. ამ მომენტში ჩვენ უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე ვგრძნობთ, რომ ჩვენს ცხოვრებას ომი აწევს, როგორც ბრძანება, რომელიც ყოველწლიურად უფრო მომთხოვნელი და სასტიკი ხდება. ჩვენი ფიქრები ისევ გასულ წელს დასტრიალებენ. ახალი წელი ეს არის მუდამ ანგარიშის მიცემის, ზრახვათა და იმედთა წელი.

ძველი სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით,სადაც გავატარეთ ბავშვობა და ახალგაზრდობის წლები, ჩვენთვის უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. ჩვენ მასზე ხშირად ვოცნებობთ, ჩვენს შორეულ სამშობლოზე, ჩვენს ჭაღარაშეფენილ მწვერვალებზე და მშობლიურ კერაზე. გული ურვით გვევსება. და გვენატრება — ეს ჩვენი ძველი სამყარო სულ რამდენიმე წუთით აღვიდგინოთ გონებაში, გადავშალოთ მისი ფურცლები ისე,როგორც წიგნს შლიან ხოლმე. იქ ჩვენ ყველაფერს გავიხსენებთ და ეს სამყარო ზღაპარსავით მოგვეჩვენება. მაგრამ ზღაპრებიც ისეთი უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მათი დაჯერება!

ჩვენთვის ეს ახალი წელიც ადვილი არ არის. ჩვენთვის, ქართველი ლეგიონერებისათვის,კვლავ განშორების, ჩვენი მახლობლების მიმართ მხოლოდ მარტოოდენ ზრუნვის ნიშნის ქვეშ სდგას. მაგრამ შეიძლება ეს დღე უფრო მეტ საზრუნავს უქმნიდეს ჩვენს მახლობლებს, ჩვენს მშობლებს, ცოლებსა და ბავშვებს, ეს დღე, როდესაც თვით მომენტის საზეიმო განწყობილება იწვევს მოგონებებს და სევდას, საყვარელი ახლობლების წრეში ყოფნის დაუშრომელ სურვილს.

დადგა ახალწლის დღე და ჩვენც უფრო ძლიერად, ვიდრე ჩვეულებრივ, ვიძირებით მოგონებებში. ხანი,რომელიც გავიდა შარშანდელ ახალ წლიდან, სავსეა ეგზომ ამაღელვებელი შემთხვევებით. სამი წლის წინათ მეტი წილი ჩვენგანი ჯერ კიდევ სახლში იყო,2 წლის წინათ ჩვენ გვაშფოთებდა რწმენის უქონლობა ჩვენს ბედში, ხოლო ერთი წლის წინათ ჩვენ უკვე ვუკიდებდით საახალწლო სანთლებს ჩვენს ამხანაგთა წრეში მადლობის და მტკიცე გადაწყვეტილების რწმენით — შეგვესრულებინა ჩვენი ვალი მამულის, ჩვენი წინაპრებისა, მახლობლებისა და მომავალი თაობების წინაშე.

დღეს ჩვენ კვლავ ვდგავართ იარაღით ხელში, ჩვენი მიზნები არ შეცვლილა. პირიქით,ჩვენი გადაწყვეტილება უფრო მტკიცე შეიქმნა. მცირედ გვეჩვენება ჩვენი გასული ხნის ყველა ახალი გაჭირვება, შედარებით გადამწყვეტ ბრძოლასთან, ჩვენი მიზნის სიდიადესთან.

რამდენი ჩვენგანი შეხვდა გასულ ახალ წელს მძიმე ბრძოლების დროს, რამდენისთვის დაჰკრა 12-მა საათმა სანგრებში კავკასიონის მისასვლელებთან, უცხო მიწაზე საგუშაგო სამსახურში დგომისას, ლაშქრობისას რუსეთის უსაზღვრო ტრამალებზე... დღესაც ქართველი ლეგიონერები სდგანან შორს, სხვადასხვა ფრონტებზე, სდგანან და იბრძვიან ჩვენი მამულისათვის, ჩვენი მყოფადისათვის. ჩვენს ბავშვებსა და შვილიშვილებს არ უნდა ეწვიოთ და არც ეწვევათ მამებისა და პაპების ბედი, არ უნდა დასდონ თავი უცხო ოკუპანტების ინტერესებისათვის და არ უნდა იმუშაონ მძიმე შრომით საკუთარი დამმონებლების კეთილდღეობისათვის. ამაზე ვფიქრობთ ჩვენ დღეს და ყოველთვის.

თითქოს ჩვენ ერთ ღამეს მოგვგლიჯეს ჩვენს ოჯახებს და თვალუწვდენელ მსოფლიოს მოგვდეს. ასეთი ხვედრი ეწვია ჩვენს თაობას, მას წილად ხვდა აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი ხალხისათვის. ბედმა ჩვენ გვარგუნა ამ სამამულო ომის წარმოება, ომისა, რაზედაც იმედს ამყარებდა თვითეული ქართველი პატრიოტი მთელი წლების განმავლობაში.ბრძოლის გარეშე ხომ არ ხდება გადაწყვეტა, ხოლო ეს გადაწყვეტა საჭირო იყო ჩვენი ხალხისათვის. ჩვენ თვითონ ვიცით და შევიგნეთ, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ სულიერად არ გავკოტრებულვართ. არავინ ჩვენგან არ მისტირის დაკარგულ ახალგაზრდობას, რაც მან ბრძოლის ველზე გაატარა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ სულიერად უფრო გავმდიდრდით ამ განცდების შედეგად, ამით ჩვენი თაობა მსხვერპლად სწირავს ყველა ძალებსა და ფიქრებს ჩვენი ხალხის კეთილდღეობასა და ნათელ მომავალს, ჩვენს საყვარელ სამშობლოს. შეიძლება მომავალი თაობები ჩვენს მიმართ შურითაც აივსნენ, რომ ჩვენ შეგვეძლო ცხოვრება ამ დიად, მაგრამ ძნელ დროში.

განა ჩვენ აქამდე ოდესმე გვიფიქრია იმაზე, რომ სამშობლო მუდამ თვალწინ გვედგა, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ მშობლიური ცის ქვეშ ვცხოვრობდით? განა ჩვენ აქ, საკუთარი კერიდან ათასეული კილომეტრებით დაშორებულებმა, არ ვისწავლეთ ჩვენი მამულის უანგარო სიყვარული?! მაგრამ ჩვენ იმავე დროს შევიგნეთ კიდეც, რა იქნებოდა ამ სამშობლოს დაკარგვა, რა იქნებოდა, რომ ჩვენი თაობით შეწყვეტილიყო საქართველოს სახელოვანი ისტორია?

რომ ეს არ მოხდეს, ამისათვის მოწოდებულია ჩვენი თაობა. ჩვენზე დაკისრებულ ამ მოვალეობას გავანაღდებთ, შემოვაბრუნებთ ჩვენი ისტორიის ბორბალს, გავიმარჯვებთ და ჩვენს ხალხს მივცემთ თავისუფალი არსებობის უფლებას. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ომი, არ ვიცით. ჩვენ ვიმედოვნებთ და გვსურს, რომ შემდეგს ახალ წელს სამშობლოში შევხვდებოდეთ, ჩვენი მახლობლების წრეში, მთელს ჩვენს ხალხთან ერთად. მაგრამ თუ ეს ჯერ არ ხდება, სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, **რომ იარაღს ხელიდან არ გავაგდებთ მანამ, სანამ ჩვენი ხალხი თავისუფალი არ იქნება, არ გვექნება [illegible] დამოუკიდებლობა, არ იქნება ერის მომავალი უზრუნველყოფილი, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს ეს ომი.**

სახლში ახალი წლის დღევანდელ დღეს იქ დარჩენილი ჩვენი მახლობლები კვლავ სუფრას შემოუსხდებიან. ამ წელსაც დედა, ცოლი მარტონი იქნებიან. ჩვენ წარმოდგენაც კი აღარ შეგვიძლია—როგორ ხდება ხოლმე ახალი წელი ჩვენთან. მათი ფიქრები ჩვენ შეგვეხება მხოლოდ, მათ შვილებს, ქმრებსა და მამებს. ისინი იმედს არ დაჰკარგავენ, რომ ჩვენ ყველანი ცოცხალნი ვართ, სადღაც შორს მყოფნი მათზე ვფიქრობთ და ისინი მხურვალე ლოცვას აღავლენენ, რომ ჩვენ უკან დავბრუნდეთ.

ჩვენი ფიქრები და ოცნება ამ დღეებში ისევე სამშობლოსა და ჩვენს მახლობლებს შეეხება. ჩვენი დედებისა და მამების სახე თვალწინ წარმოგვიდგება. ჩვენ ვიცნობთ მათს დაკოჟრილ, დაბებრებულ ხელებს,ვხედავთ მათს ცდასა და ზრუნვას—ყველაფერი უკეთ მოაწყონ. ჩვენ ვხედავთ მათს სევდით აღსავსე თვალებს, რომელი დედა ან ცოლი, რომელი მამა არ შეჰყურებს რწმენით აღსავსე მზერით ჩვენს ბედის ვარსკვლავს, რომელი დედა, მამა ან ცოლი დაჰკარგავს ოდესმე იმედს ხელახლა ნახოს თავისი მახლობელი, რაც არ უნდა მოხდეს ამ ხნის განმავლობაში და რამდენი დროც არ უნდა გავიდეს. ჩვენი ცოლები ზრუნავენ ჩვენთვის, მათ ჰყავთ ბავშვები, ჩვენ თვალწინ გვიდგას მათი მოღიმარე ცნობისმოყვარე სახეები, რომლებიც ეკითხებიან მამაზე, რამდენიმე წლის წინათ რომ დატოვა სახლ-კარი. ასეთ დროს პასუხი ნათელია. იგი ეხმარება ბავშვებს მისცეს სალი წარმოდგენა შორეული მშობლის შესახებ. ჩვენი ცოლები ასეთ დროს მტკიცენი და შეურყეველნი არიან. ეს ვიცით ჩვენ ჩვენი ცოლების შესახებ და ამისათვის ისინი უფრო მხურვალედ გვიყვარს.

ახალი წლის დღესასწაული არ იქნებოდა, რომ ჩვენ არ გვეფიქრა სახლში ყველა მათს შესახებ. ჩვენ სულიერი სითბო და გულმხურვალება ძველთაგანვე მოგვდევს. კილომეტრები მაშინ უკვე აღარ წარმოადგენენ შორეულ მანძილს. სწორედ ის ვარსკვლავი, რომელიც ახალი წლის ღამეს სახლში ჩვენს მახლობლებს დაჰნათის, ჩვენზედაც კიაფობს. ეს არის დიდი ბედნიერება და იღბლის მომასწავებელი. ამ ვარსკვლავს ჩვენ შეგვიძლია ყველა ჩვენი სურვილი გავანდოთ და გადავცეთ გულითადი სალამი მათთვის.

ჩვენს წინ კვლავ ბრძოლის ერთი წელია. ჩვენ, ქართველმა ლეგიონერებმა შევასრულეთ ჩვენი ვალი მამულის წინაშე. ბევრნი, რომლებიც ერთი წლის წინათ ამ დღეს ჩვენს გვერდით ისხდნენ, უკვე აღარ არიან. მეხსიერებაში წარმოგვიდგება ჯვრები თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. ამხანაგები, რომლებიც წინ მიაბიჯებდნენ და დაეცნენ ჩვენს გვერდით, კვლავ მხარდამხარ მოგყვებიან ჩვენს ფიქრებში. მათ არ ეწერათ ამ დღემდე სიცოცხლე. მაგრამ ისინი დავიწყებულნი არ არიან. ჩვენი ფიქრები მათთან არის, მათ მახლობლებთან სამშობლოში — ეს დღესავით ცხადია. განა ჩვენ ამ წელს სულ უფრო ღრმად არ შევიგნეთ, რომ სიკვდილი არ ნიშნავს სიცოცხლის დასასრულს?!. მხოლოდ დავიწყება გულისხმობს დასასრულს; მხოლოდ მსხვერპლი, რომელთა მიმართ საშინელი სიტყვა „ამაო“ იქნებოდა თქმული, წარმოადგენს დაკარგულს. ამისთვის ვცხოვრობთ ჩვენ ქვეყანაზე, ამისათვის ვიბრძვით. მათს მახლობლებს ჩვენ, ყველა ერთად და თვითეული ცალცალკე შვილად და ძმად გამოვადგებით.

ჩვენ ვდგავართ ფრონტზე ქართველი ლეგიონერების დიდ ამხანაგურ წრეში, წრეში, რომელიც აერთიანებს ევროპის ყველა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს. ამხანაგური გრძნობა ყველა ჩვენგანს აერთებს, ჩვენ მძიმე წუთებში ერთად ვიდექით და კარგად ვიცით, რომ ერთი ვერ იქნებოდა მეორის გარეშე.

მაშ გავუწოდოთ მტკიცედ ხელი დღეს ჩვენს ქართველ ძმებსა და თანამებრძოლებს და ახალი წლის სახელით, ჩვენი საყვარელი სამშობლოს, საქართველოს მოგონებით, გავიხსენოთ ფიცი:

ვიდგეთ ერთი-მეორის გვერდით, ვიბრძოლოთ ერთმანეთთან მხარდამხარ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამარჯვებისათვის, საქართველოსათვის, ჩვენი ხალხის მომავლისათვის, თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის!

ღვთის მადლი ამ წელსაც გადმოიფრქვევა ჩვენზე ჩვენს სამართლიან ბრძოლაში.

ასმეთ. **ბაი მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონია შეურყეველია

იაპონია-ჩინეთის ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, ინგლისელებმა იაპონიის მიმართ პირველად გამოიყენეს ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეყნის მიმართ მტრულ მოქმედებას. ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი და ბრიტანეთის ამ მტრულ მოქმედებას შეუერთდა ამერიკაც. ამ დღიდან ინგლის-ამერიკელები განუხრელად ავლებდნენ იაპონიას და მის კუნძულებს ეკონომიური ბლოკადის სალტეს. გენერალი ტოძიოს მთავრობის დამსახურება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ იაპონიამ თავისი მოულოდნელი სამხედრო გამოსვლით გაარღვია ბლოკადის რგოლი და გადასწია იგი თავისი საზღვრიდან ათასი კილომეტრით. იაპონიას დიდი აღმოსავლეთი აზიის ხალხებთან ერთად გადაწყვეტილი აქვს შეჰქმნას ძლიერი ბაზა საერთო და სამხედრო-სამრეწველო მეურნეობის აღსადგენად, რომელიც მომავალში დასაყრდენი იქნება ახალი წესრიგის დასამყარებლად აზიაში.

მიდიოდა მტერი რა აღმოსავლეთი აზიიდან, ჰფიქრობდა, რომ წყნარი ოკეანის გიგანტური სივრცე მიუღწეველი იქნებოდა იაპონიის ფლოტისათვის. ინგლის-ამერიკელები ეხლაც გამომდინარეობენ იქიდან, რომ მომავალში ისინი მედგრად დაარტყამენ იაპონიას ამ უსაზღვრო სივრცეზე. მაგრამ მიუხედავად ამ ცდებისა, ჯერ კიდევ არ ყოფილა მაგალითი იმისა, რომ ინგლის-ამერიკის ფლოტს სადმე მიეყენებინა იაპონიისათვის საგრძნობი ზიანი.

აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ოპერაციის განვითარებამ იაპონიის სამხედრო უმაღლესი სარდლობა მიიყვანა იმ ღონისძიებამდე, რომ მან მიიღო ყოველივე ზომები მთელი სამხედრო აპარატის ზუსტი მუშაობისათვის ჯერ არნახული მასშტაბით.

ტოკიოში, სამხედრო შეიარაღების ახალი სამინისტროს დაარსება არის შედეგი იაპონიის მთავრობის სურვილისა, რომლის მიზანს შეადგენს უზრუნველჰყოს სამხედრო სამართველოს ყველა მამოძრავებელი ძალის სრული ფუნქციონირება.გენერალმა ტოძიომ შესძლო მოეხდინა იაპონიის ძველი, ომის წინადროის მეურნეობის რეორგანიზაცია, რომელიც ამჟამად ბრწყინვალედ ეგუება ტოტალური ომის წარმოებას. ამავე დროს მან შეუნარჩუნა იაპონიის ძველ სამხედრო სამეურნეო აპარატს მოქმედების დროებითი თავისუფლება, რომელიც შეიარაღების ახალი სამინისტროს დაარსებიდანვე თანდათანობით შეიზღუდება. სამხედრო შეიარაღების ახალი სამინისტროს დაექვემდებარება მეურნეობის დანარჩენი დარგები, რომლებიც მიმართულნი არიან სამხედრო მრეწველობის წარმატებითი მუშაობისაკენ.

ახალი სამინისტროს მოღვაწეობაში შევა უმთავრესად მეტროპოლია და მატერიკის უახლოესი ოლქები, რაც წარმოადგენს სამხედრო მრეწველობის პოტენციალს. იაპონიის მხრივ არაერთხელაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ აზიაში ომის გაგრძელებასთან დაკავშირებით, საჭიროა თანამშრომლობა ჩინეთთან. ამმხრივ, სამხედრო შეიარაღების ახალი სამინისტრო გადასწყვეტს ყველა იმ პრობლემას,რომელიც დღემდე სწყდებოდა შენელებული ტემპით.

ახალი სამინისტროს დაარსება, თანახმად იმ სიტყვისა, რომლითაც პრემიერ-მინისტრმა ტოიომ მიჰმართა აღმოსავლეთი აზიის ხალხებს, მოწმობს იაპონიის მტკიცე გადაწყვეტილებას — განაგრძოს ომი საბოლოო გამარჯვებამდე.

ახალი წელი

სემნერ უელესის გამომჟღავნება

ამასწინათ გადამდგარმა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა სემნერ უელესმა არგენტინის გაზეთ „ნაციონში“ მოათავსა სტატია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მოსკოვის კონფერენციის არაპირდაპირი შეფასება.

სემნერ უელესის მიხედვით მოსკოვის კონფერენციაზე, პატარა ერთა უფლებანი დატოვებული იყო უკანა პლანზე. „არ ყოფილა გათვალისწინებული არავითარი საშუალება, — სწერს იგი, — რომელიც პატარა ქვეყნების მთავრობებს მისცემდა შესაძლებლობას დაეცვათ თავიანთი უფლებები დიდი სახელმწიფოების წინაშე. პატარა ქვეყნები სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებულნი ამ საკითხით. ამერიკის არც ერთ სახელმწიფოს, გარდა შეერთებული შტატებისა, არა აქვს საშუალება გაატაროს თავისი შეხედულება“.

სემნერ უელესი შიშს გამოსთქვამს, იმის გამო, რომ ანდაზის — „მადა ჭამაში მოდის“ — მიხედვით დიდი სახელმწიფოები მომავალშიც არ გაუწევენ ანგარიშს პატარა სახელმწიფოების უფლებებსა და ინტერესებს.

<>

რელიგიური კომინტერნი

საბერძნეთის საზოგადოებრივი აზრი დიდი ყურადღებით აღნიშნავს, რომ სტალინი მიისწრაფის მიაღწიოს იმას, რათა საბჭოთა მართლმადიდებელ ეკლესიას შეუქმნას უპირატესი პირობები სხვა ქვეყნების მართლმადიდებელ ეკლესიებთან შედარებით. სტალინის ეს ღონისძიება სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება სალონიკში. საბერძნეთის მიტროპოლიტი მეტად დაკავშირებულია კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, რომელიც ითვლება მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად. გარდა ამისა, როგორც ამას აღნიშნავს ბერძნული გაზეთი „ნაე ევროპი“, სტალინი მიისწრაფის გამოიყენოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ერთერთი იარაღი მსოფლიო რევოლუციის მოსახდენად. სტალინი ცდილობს შეჰქმნას თავისებური „რელიგიური კომინტერნი“. ამიტომ ბერძნული ეკლესია მთელი თავისი ძალებით იბრძოლებს „მართლმადიდებელ ანტიქრისტეს“ წინააღმდეგ.

<>

გერმანია ძლიერია

ლონდონის გაზეთი „დეილი მირორი“ იძლევა გაფრთხილებას „ზედმეტი ოპტიმიზმისაგან“, რომელიც მეფობს პლუტოკრატულ ბანაკში. „გერმანია ეხლა ძლიერია, ვიდრე არაოდეს, — სწერს გაზეთი, — მისი მდგომარეობა უკეთესია ვიდრე ეს იყო 1939 წელს“.

ლორდ ნორმანმა, რომელიც დიდი ხანი არ არის დაბრუნდა გერმანიის ტყვეობიდან, განაცხადა, რომ „გერმანიის სამხედრო ძალასთან ერთად სდგას რკინისებური რწმენა“. რეიტერის სააგენტოს სამხედრო ექსპერტმა, გენერალ კოფმა გამოსთქვა შეხედულება, რომლის თანახმად, გერმანიის არმიას აღმოსავლეთში აქვს სრული შესაძლებლობა ბოლშევიზმს გაუწიოს მედგარი წინააღმდეგობა და თვით გადავიდეს კონტრ-შეტევაზე.

გაზეთ „სედნეი ექსპრესის“ ფურცლებზე გენერალი კოფი აღნიშნავს, რომ გერმანიის არმიას აღმოსავლეთში არ „განუცდია გადამწყვეტი დამარცხება“ და რომ მას გააჩნია თავის განკარგულებაში საკმარისი სივრცენი თვისი ოპერატული მიზნების განსახორციელებლად.

მეკვლევი

ინათა...

ზამთრის ცას მტრედისფერმა დაჰკრა...

მთიდან ჩამოიჰრა ქარი და სოფელს თოვლის ფიფქი გადმოაყარა.

თოვს ბარაქიანად, ნაკვლევი იფარება. დადუმებულა ხშირი ტყე, ეზოებში დახრილან ხის ტოტები, ცივი ნისლი ჩაწოლილა ხევში... ბუხრებიდან ლურჯი ბოლი ადის...

აღფრთოვანებას მოუცავს სოფელი...

ზეიმობენ ოდები. ყინვისაგან შეკრულ ჰაერს ატოკებს აღმგზნებელი, ტბილი სიმღერები. გარეთ თოვს... ბუხარში საამურად იწვის მუხის კუნძები. განიერი სუფრის ირგვლივ შემომსხდარან მოზეიმენი. გულუხვია მასპინძელი. ბარაქითა და ხვავით ავსებულა სუფრის ყველა კუთხე. ლალის ფერი ღვინო და ჭაჭის არაყი... ჩამიჩი და ლეღვის ჩირი, ქადა და გოზინაყი, ჩურჩხელა და ტკბილი კვერი, თურაშაული და გულაბი, ნაზამთრი კომში და ხურმა... თითბრის მოელვარე, განიერი ლამბაქები, ზედ მრგვალად მოხარშული დედლები, საცივი, ცხვრის ჩახოხბილი, ცხელცხელი ნაზუქები, ხაბიზგინები.

თამადა სცლის ჯიხვის ყანწს...

ლოცავენ ოჯახის ბურჯს, ოდის საძირკვლის ჩამყრელს...

მრავალჟამიერი ვაჟკაცური, მჭექარე, ძარღვებში რომ მიედინება და სისხლს ატოკებს... ღვინით სავსე სასმისები. ჭიქებში გადის სანთლის შუქი, ზედ ლაპლაპებს სქელი, სისხლივით ყურსი ღვინო...

სადღეგრძელო სადღეგრძელოზე და მოდის ზარხოში... ბურანში ეხვევი, გულის კარი იღება, გაფრენას ლამობ... ესაა ქართული ღვინის მირონი, შთაგონება, აღგზნება...

ბუხრის წინ ორნი სხედან...

ერთი მათგანის ზურგს უკან საუკუნე სდგას... შუქზე ქათქათებს მისი თხელი თეთრი წვერი. შავი დიდრონი თვალები,ოდესღაც ამაყად რომ ხამხამებდნენ, ძალაგამოლეული, ეშხდამშრალი მისჩერებია ნაღვერდალს... ჩაფერფლილ მორს უკანასკნელი ბოლი ასდის რგოლებად... იშლებიან ეს რგოლები მაღლა და ერევიან ჰაერს... და ასე რგოლებივით მოკრთიან მოხუცის თვალისწინ ეხლა ფერადი მოგონებები...

მოხუცის ტუჩები თრთის, ნაჭერ-ნაჭერ წარმოსთქვამს მელანქოლიურ სიტყვებს. აგონდება წარსული. რაშებივით გაიქროლეს წლებმა, თითქო გუშინ იყოო, ისე ახსოვს, პირველი ქვა რომ ჩააგდო საძირკველში და მამამ დალოცა — აშენდიო!..

მოხუცის ახლოს სდგას 8 წლის ბიჭუნა, თმაგიშერა, ლოყაწითელი. წარმტაცი ამბები მამაპაპის თავგადასავლიდან... მოხუცი ფურცლავს მოგონებათა წიგნს...

სპარსეთის შაჰს მიჰგვარეს პაატას მოჭრილი თავი...

ჭაღარა თმაშევერცხლილი რაინდი გიორგი სააკაძე...

ლეგენდარული სარდლის გულამადულებილი. მაგრამ უცრემლო სიტყვები — თუ ჩემი შვილის თავი იხსნის ქვეყანას, მირღევ უფალო იგი მსხვერპლად თვისად... პატაი ვერ დაჰბადებდა საქართველოს, საქართველო კი დაჰბადებს პატაისთანას მრავალს... მამულიშვილი შინგანი ნაბოძები მომილია შინთვის. მაღალო ღმერთო!..

და ეს მოაგონა თავის ყრმას მოხუცმა, მოაგონა იმიტომ, რომ იცოდეს — რა არის მშობელი მიწის სიყვარული. ასე იქცეოდა მამა-პაპა, მამამ ოდესღაც ყრმას ასევე უამბო ეგ თავგადასავალი... და ეს არის ადათი... ყრმას ყველა თავგადასავალი ესმის, როგორც ლოცვა... მოხუცმა შეარხია მუხის კუნძი. მერე გულზე მიიკრა ენატიტინა და განაგრძო დაშაქრული სიტყვებით.

— ჩემო ჩიტო, მამული ადამანტის მადანია, ცხრა მთის იქით რომ იყო, მოგიზიდავს. წამოიზრდები, ქვეყანაში გახვალ და იგრძნობ მამულის სიყვარული რაიცა არის. შენი ჭერი უფრო თბილია, ვიდრე სასახლის თავანი... ჩემი მამაპაპა აი, იქ მარხია, მეც იქ უნდა დავიმარხო... ანდერძისამებრ ერთი მუჭა მიწას, გამთბარს სამშობლოს სიყვარულით, ჩავიტან იქ...

და ამოიგმინა მოხუცმა... უფრო მაგრად მოუჭირა ხელი ბავშვის ჩვილ მაჯას... ღვინომ დაურბინა ძარღვებში და აამბოხა...

სუფრა ხმაურობს...

ქოხში მაჭახელებს ამზადებენ...

საცაა მამალი იყივლებს...

თოვლიან სახურავზე სამნი დგანან, სამივე ახალგაზრდანი...

ნიშანი...

ჭახ!..

ჭახ!..

ჭახ... სამჯერ იჭექა თოფმა. სოფლის განაპირიდან იძლევიან პასუხს... მოვიდა ახალი წელი...

თამადა ლოცავს სუფრას...

— ახალი წელი!.. სიცოცხლე და გამარჯვება, შვილო! — წარმოსთქვა მოხუცმა. მერე ზეზე წამოდგა. ოთახის კუთხეში მდგარ ჩიჩილაკთან მივიდა, მადლობა უძღვნა წმინდა ბასილს... გარეთ გაიხედა — დღეს ღამე გადაეყლაპა... ბუხართან კუნძზე ბაბუას ნაცვლად პატარა იჯდა...

— ახალი წელი... ახალი სიამე, დოვლათი! — სთქვა მოხუცმა რაკი მივიდა სუფრასთან... გუგუნებდა ქართული მრავალჟამიერი. მის გუგუნში ისმოდა მოხუცის ხმა...

ისიც მღეროდა...

თამადა კვლავ ილოცვიდა: ხვავს, ბარაქას, დოვლათს...

კარის ურდულზე გაისმა ხმა...

მოხუცი მივიდა კარებთან...

— მეკვლე... — წამოიძახა იმან... და ელიან ეხლა მეკვლეს...

— ვინ ხარ? — ცოტა ხნის შემდეგ წარმოსთქვა უხუცესმა... მერე თეთრ წვერზე ხელი გადაისვა და კვლავ შესძახა:...

— რა მოგაქვს? — ხვავი და ბარაქა, უხვი ჭირნახული... სამჯერ განიმეორა მოხუცმა „რა მოგაქვს“... და ყოველ შეკითხვაზე ისმოდა გარედან... ბარაქა!.. ხვავი!.. სიხარული!.. ბედნიერება!..

მოხუცი აღებს კარებს...

შემოდის მეკვლე...

ახალგაზრდა ვაჟკაცი ცხადდება ხონჩით ხელში... მასზე ალაგია ხილი, ნაზუქები, არაყი... მეკვლე მიდის ჩიჩილაკთან, ხონჩიდან იღებს ტყვიას და იატაკზე ანარცხებს:

— ასე დასცემოდეს მტრის გულს...

— ხვავი და ბარაქა!..

— სიხარული და ბედნიერება!.. იმეორებენ სხვები. ამას იმეორებს მოხუცი, ამას იმეორებს მთელი ოჯახი... ასე მოდის ახალი წელი...

ეს სურათები მიშლებიან ეხლა თვალისწინ... სამშობლოს მოშორებულს მატკბობს ეს საოცნებო მოგონება... რა ტკბილი იყო ახალი წლის ღამე!?...

ეხლაც, ახალი წლის ღამეს, ჩვენს ოჯახებში ალბათ მეკვლეს ელიან... დეე, ნუ მოიცრიმლვიან, თუ იგი იგვიანებს. მე მწამს. მწამს მისი მოსვლა... მოვა იგი და დაჰკრავს გადარაზულ კარებს...

მოვა მეკვლე...

მისი პირველი სიტყვა იქნება: თავისუფალი საქართველო!..

შეიშრით ცრემლები!..

აღმართეთ ჩრდილმოსილი სახეები!..

ტრადიციულად ააგიზგიზეთ ბუხრები და დასდგით ჩიჩილაკი... დაანარცხეთ ტყვია და ილოცეთ შვილებისათვის...

ახალი წლის ღამეს მე გავხედავ ზამთრის ცას და ვეამბორები ვარსკვლავებს... შუქურ-ვარსკვლავს მინდა დავაბარო გულისნადები მამულისადმი... დიახ. შუქურ-ვარსკვლავმა მოიტანოს ჩვენს მიწაზე სამახარობლო... მეკვლე იგვიანებს, მაგრამ იგი მაინც მოვა!.. მოვა და გვახარებს ბოროტის ძლევას კვითილზე... დიდება ამ პირველ მეკვლეს...

ლ. ლინი

-მამ.
ურც.
ჰის ფურ
. . . .
ლ-მამ. ბანკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მესამე მსოფლიო ომი“

იმ მომენტში, როცა მოკავშირეთა სახელმწიფოების მეთაურები თათბირობდნენ ქაირსა და თეირანში, მთელმა რიგმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და აგრეთვე ამერიკისა და ინგლისის პრესის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ჩურჩული მესამე მსოფლიო ომის საშიშროებაზე. პირველად ეს საკითხი წამოაყენა თვით ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა უელესმა, რომელმაც განაცხადა, რომ ეხლანდელი მსოფლიო ომის შემდეგ უნდა დამყარდეს „ამერიკული საუკუნე“.

მეორე ამერიკელმა ჟურნალისტმა — ურია ვალტერ ლიცმანმა ამასწინათ შვეციის ერთერთ გაზეთში მოათავსა წერილი, რომელშიც აშკარად აღიარა, რომ „თუ ჩვენ,ამერიკელებმა ვერ შევძელით ამჟამად სამართლიანი ზავის (რასაკვირველია თავისებურად) დამყარება, იმ შემთხვევაში ჩვენ, ნებით თუ უნებლიედ მოგვიხდება ვემზადოთ ახალი ომისათვის“.

ლიცმანიც მომავალ ომს უწოდებს „ამერიკულს“ იგი შემდეგნაირად განმარტავს ამ საშიშროებას: „ორ გადაწყვეტილებიდან ერთის ამორჩევა — ომი ან ზავი, რომლის გადაწყვეტაც დამოკიდებულია იმისაგან, იქნება თუ არა გადაჭრილი პრობლემა პატარა სახელმწიფოებისა, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა კავშირისა და ევროპის საზღვარზე, ეს საკითხი როგორ იქნება გადაჭრილი; გადაიჭრება იგი ნებაყოფლობის, ურთიერთშეთანხმების თუ ძალის გამოყენებით და სათანადო დიპლომატიური ზეგავლენით“.

ინგლისური ჟურნალი „ნაინტინ სენჩური ენდაფტერი“, მიუხედავად ჩერჩილის მეგობრული პოლიტიკისა ამერიკის მიმართ, ამ საკითხს უძღვნის ვრცელ სტატიას. ეხება რა ინგლისის მომავალ საგარეო პოლიტიკას, ის აშკარად აცხადებს, რომ „თავის დანებება საგარეო პოლიტიკიდან და თვალის დახუჭვა იმის იმედით, რომ ოდესღაც ინგლისს არ დაემუქრება ახალი ძალა ან მთელი კოალიცია, შეუძლებელია, ამისათვის ინგლისი ვიდრე არასოდეს, მზად უნდა იყოს ახალი ომისათვის“.

ამ დღეებში ინგლისის მთავარმა რაბინმა ჰერცმა განაცხადა, რომ მისი აზრით, მესამე მსოფლიო ომი აუცილებელია.

*

ფინეთის ეროვნული დღესასწაული

ფინეთის დამოუკიდებლობის 26 წლის იუბილესთან დაკავშირებით ტურკუში დიდი სიტყვა წარმოსთქვა პრეზიდენტმა რიტიმ. „ევროპა, სთქვა მან, ამ ომში იცავს თავის საგანძურს არაევროპული ქვეყნებისაგან. ამიტომ მცირე სახელმწიფოთა როლი მცირდება დიდი სახელმწიფოების ინტერესების ხარჯზე; მაგრამ მცირე ერებიც, განაცხადა რიტიმ, შეიძლება იყვნენ სულით ძლიერნი. რიტიმ ამავე დროს ხაზი გაუსვა იმ დახმარებას, რომელსაც უწევს გერმანელი ხალხი ფინეთს სურსათით მომარაგების საქმეში.

მარშალი მანერჰაიმი

მტრის პოლიტიკური კოზირის შესახებ, რიტიმ შემდეგი აღნიშნა: „ისინი ეხლა ჩვენ გვთავაზობენ უსიტყვოდ კაპიტულაციას და საბჭოთა გაზეთები სწერენ „ფინელი ხალხის შევიწროების“ შესახებ. ჩვენ კარგად გვაქვს გათვალისწინებული ის, თუ რას მოასწავებს ჩვენთვის უსიტყვო კაპიტულაცია. ჩვენ სულ სხვანაირად გვესმის თავისუფლებისა და შევიწროების გაგება, ვიდრე ეს ესმით საბჭოებს. კარელიიდან, რომელიც ჩვენ დავუთმეთ საბჭოებს 1940 წელს მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად, ფინეთის არმიასთან ერთად ნებაყოფლობით წავიდა 470.000 მცხოვრები. მათ სცვნეს უფრო სამართლიანად დაეტოვებინათ ის „თავისუფლების“ სამშობლო, რასაც დაჰპირდა კარელ ხალხს მოღალატე კუუსინენი.

ჩვენ, ფინელები, განაგრძობს რიტი, მსოფლიოში ცნობილი ვართ, როგორც პირველი კლასის სპორტსმენები. ჩვენმა მორბენალებმა კარგად იციან, რომ ათი კილომეტრის გარბენის შემდეგ საჭიროა შეისვენო, რათა შეინარჩუნო ძალა ფინალისათვის. და ჩვენ, ფინელებმა ვიცით, რომ ამ გიგანტურ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა ის, ვინც შეინარჩუნებს ძალებს ფინალისათვის. კაპიტულაცია მოასწავებს ბოლშევიზაციას და დაღუპვას. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რაც სიცოცხლეს აძლევს აზრსა და დაფასებას“.



„და გამოჩნდნენ სამშობლო მთები“ ნახ. ლეგ. ლ. გ — ისა.

საქართველო ჩვენო...

გელა

საქართველო ჩვენო,
მშვენიერო მხარე,
ამობრწყინდი ლხენით,
მზეო პირმცინარე!..

ნუ მოიწყენ, კარგო,
რწმენა დაიბარე,
დაბურულო მთებო,
ნისლი გადიყარეთ!..

საქართველოს ცაზე
მოწყენილო მთვარე,
გადასცილდი ღრუბლებს,
პირი დაიბანე!..

რიონო და მტკვარო,
ცელქო მდინარენო,
ნუ დააჭკნობთ ველებს,
კარგად მოუარეთ!..

საქართველო ჩვენო,
მშვენიერო მხარე!
ნუ მოიწყენ, კარგო,
ლხენა დაიბარე!..

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ციხე სიმაგრე

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში აღმართული მთაგრეხილი წარმოადგენს ვეებერთელა ბუნებრივ სიმაგრეს. დასავლეთით მას საზღვრავს დინარის ალპები დალმაციის,მთაშავეთისა და ალბანეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე ეპირისა და პინდას მთები საბერძნეთში. სამხრეთით სიმაგრეს იცავს პელეპონესის მთიანი მასივი. თრაკიის დაბალ ნაპირებს ფარავენ კრიტის მთები, აღმოსავლეთით კი მოხერხებული გეოლოგიური მდგომარეობის გამო შავი ზღვა გადაქცეულია ჩაკეტილ აუზად. ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი სიმაგრე წარმოადგენს ორგანიულად ერთ მთლიანს. მაკედონიისა და ბულგარეთის ზეგნები, დუნაის ხეობა მდინარე სავისა და ტისის აუზიდან მოლდავეთამდე და ვალახიამდე, დუნაის დელტა, გამაგრებულია ოლიმპის, შარ-დაგის, როდონას, ბალკანეთის მთებითა და ტრანსილვანიის ალპებით. აღმოსავლეთის მხრიდან სიმაგრეს იცავენ კარპატები.

დუნაის აუზის მდინარეები ციხესიმაგრის ორგანიზმს აერთიანებენ ცენტრალური ევროპის ცოცხალ სისტემასთან. მთები, ბუნებრივ სიმაგრეთა ეს სისტემა სამხრეთ-აღმოსავლეთის მასივს იცავს დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თავდასხმისაგან. ამასთანავე ერთად ევროპის ჩრდილო-დასავლეთით სივრცე მაღლდება თანდათან და ხელს უშლის თავისუფლად შემოჭრას. უკანასკნელ დრომდე ევროპის ამ სამხრეთ-აღმოსავლეთის ბასტიონის მოსახლეობა დაქსაქსული იყო. ევროპა ათასეული წლების მანძილზე ცდილობდა თავიდან აეცილებინა ეს უხერხულობა. სამხრეთ-აღმოსავლეთის ბასტიონში შედის სამი გზა, პირველი გადის ბენდერით დნესტრზე, მეორე — ბოსფორზე, მესამე — სალონიკის დაბლობზე. დასახელებული ადგილები არიან ციხესიმაგრის კარები, რომლებსაც არა აქვთ ბუნებრივი ზღუდენი.

პირველი გზით თავის დროზე შემოიჭრნენ ორდები. ევროპის დახმარებას მოკლებული ბალკანეთის მთავრებს რომ არ გაეწიათ გმირული წინააღმდეგობა, ევროპის კულტურის წინსვლა შეფერხდებოდა რამდენიმე საუკუნით მაინც. მეორე კარით — ბოსფორით შემოვიდნენ ოსმანთა იმპერიის ჯარები, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა თავისთავად დაქსაქსულ ბალკანელ ხალხს არ შეეძლო. მესამე კარი გაარღვიეს მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანტანტის არმიები სალონიკით გადმოვიდნენ კონტინენტზე. მამაცი ბულგარული ჯარი დაუძლურდა უთანასწორო ბრძოლაში. ბულგარეთმა დაჰყარა იარაღი და დადებული იქნა ეგრეთწოდებული „ბალკანეთის კავშირის“ პაქტი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის სიმაგრე, როგორც ევროპის მთლიანი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი, თანამედროვე პოლიტიკოსების მიერ დახასიათებული იყო, როგორც დაქსაქსული და დაუძლურებული „ბალკანური უწესრიგობა“. საერთო ევროპული ინტერესი ამ მხარისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა პოლიტიკური აზრი გადატანილ იქნა შუა ევროპაში, როცა შუა ევროპამ შეიგნო თავისი პოლიტიკური და ეკონომიური მიზნების ერთიანობა. ამის შედეგად „ბალკანეთის უწესრიგობა“ მოისპო. წვრილმანი ანტაგონისტური დამოკიდებულება ცალკეულ ხალხებს შორის შეიცვალა ურთიერთთანამშრომლობით ევროპის საერთო ინტერესებისათვის. ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით არაორგანიზებული ჯარები, რომლებიც შეადგენდნენ დასავლეთ-ევროპის იარაღის დამამზადებელი ტრესტების მორჩილთ, გარდაიქმნენ თანამედროვე ნაციონალურ არმიებად, რომლებიც მზად არიან სათანადო პასუხი გასცენ მტერს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარის მოსახლეობის საერთო რიცხვი შეადგენს 60 მილიონს. მათგან 50 მილიონი სდგას საერთო ევროპულ პლატფორმაზე, ესენია: სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, რუმინეთი და ბულგარეთი. დანარჩენ 10 მილიონს შეადგენს საბერძნეთისა და სერბეთის მოსახლეობა. რომლებმაც დამარცხების შემდეგ თავიანთი მთავრობების მეშვეობით ლოიალური ურთიერთობა დაამყარეს გერმანიასთან. ამჟამად სამხრეთ-ევროპის სიმაგრის გარნიზონი ისტორიულად გაერთიანებულია ერთიანი მისწრაფებით ევროპასთან თანამშრომლობისათვის.

ეს პოლიტიკური პლატფორმა ერთის მხრივ შედეგია გეოგრაფიული პირობებისა, ხოლო მეორეს მხრივ წარმოადგენს სახრეთ-აღმოსავლეთში ევროპის სტრატეგიული როლის საფუძველს. ამ გარნიზონში გერმანიის არმია ასრულებს დამხმარე როლს, ციხესიმაგრის ძირითადი დაცვა თვით ადგილობრივი შეიარაღებული ძალების ხელშია. თრაკიის სანაპიროებიდან სალონიკამდე დგას ძლიერი, გერმანიასთან მეგობრობის საფუძველზე რეფორმირებული ბულგარეთის არმია. საბერძნეთის ციცაბო სანაპიროებს იცავენ რჩეული ნაწილები, რომელთაც მრავალგზის გვაჩვენეს თავიანთი სიმამაცე. დასავლეთის კლდოვან კალთებზე არის ახალგაზრდა ხორვატული არმია. სამთო ჯარები იცავენ მაკედონიის თამბაქოს, ხორვატიის ტყეებს, ბულგარულ სიმინდს, რუმინულ თავთავს, უნგრულ პირუტყვს.

ინგლის-ამერიკელთა ცდა, დაეცარიელებინათ რუმინეთის ნავთიანი ოლქები, არ გამართლდა. ეს დამტკიცდა მას შემდეგ, რაც მათ სცადეს დაებომბათ ნავთის ქალაქი პლოეშტი. კანადელ მფრინავებს, რომლებიც სასწაულის შედეგად გადარჩნენ ცოცხალი და თავი დააღწიეს ციხესიმაგრეს, შეუძლიათ გადასცენ მეგობრებს — რა ძლიერი და გამანადგურებელი იყო ციხესიმაგრის ცეცხლი... ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი სიმაგრე პირველად ასრულებს თავის ისტორიულ ამოცანას. შემჭიდროებული გარნიზონი, ბატონ-პატრონი ამ სიმაგრისა, მზადაა გამანადგურებელი პასუხი გასცეს მტერს ყველა მხრიდან.

კარიკატურის კუთხე

ისინი სთითხნიან მშვიდობიანობას

ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ სწერს, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ერთად შეიძლება აშენდეს საძირკველი ევროპის მშვიდობიანი მშენებლობისათვის.



„მომეცით მეტი მასალა! თუ მეტი არა გაქვთ, მომეცით ის, რაც მხრებზე გაწევთ“.

*

მუდარა



— გამიშვი, შენთან ერთად დავჯდე ჩემს ტახტზე!..

—არა! მაშინ ჩემთვის არ იქნება ხელსაყრელი და სწორედ ეხლა ეს არის ჩემი ადგილი.

მხიარული დასვენება

სახუმარო ამბები

თავისებური ფილოსოფია

ერთმა უზრდელმა ერთ მსწავლულს შენიშნა, რომ მას მეტად დიდი ყურები აქვს. ამაზე მსწავლულმა უპასუხა:

წარმოიდგინეთ ერთი წუთით: ჩემი ყურები და თქვენი ტვინი! რა სამაგალითო ვირი გამოვიდოდა!.

ქურდი ბალზაკთან

ბალზაკთან ღამით ქურდი შეიპარა. ბალზაკი ხედავდა როგორ მიიპარებოდა ქურდი მისი საწერი მაგიდისაკენ, როგორ გამოაღო უჯრა და შიგ რაღაცას ეძებდა. ბალზაკმა ხმადაბლა სიცილი დაიწყო, ისე რომ შეშინებულმა ქურდმა უკან დაიხია და გაბრაზებულმა ბალზაკს შეეკითხა: „რაზე იცინი?“

იმაზე, რომ ღამით ჩემს საწერ მაგიდაში ფულს ეძებ, როდესაც მე დღისით ამაოდ ვცდილობ შიგ რამე ვიპოვნოო!

მიზეზი და შედეგი

„შეგიძლიათ დამისახელოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მიზეზი შედეგს მისდევს?“

„არა!“

„აბა მე გეტყვით: როდესაც ექიმი თავისი პაციენტის კუბოს უკან მისდევს!“

გამოძიება

„დამნაშავე ხართ თუ არა?“ ეკითხება გამომძიებელი დაპატიმრებულს.

„მე მგონია თქვენ აქ იმიტომ ხართ, რომ ეს გამოირკვიოთ!“

ორი კითხვა

მასწავლებელმა უთხრა თავის მოწაფეებს: „მე მინდა თქვენ ორი კითხვა დაგისვათ. ვინც პირველ კითხვაზე სწორედ მიპასუხებს, მას არ დასჭირდება მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა. პირველი კითხვა შემდეგია: „რამდენი ფოთოლი ასხია ხეს ჩვენი ფანჯრის წინ?

პატარა გოგო თითს ასწევს და უპასუხებს: „5703, ბატონო მასწავლებელო“.

მასწავლებელი: „როგორ მიიღე ეს რიცხვი?“

გოგო: ბატონო მასწავლებელო, თქვენ ბრძანეთ, რომ ვინც პირველ კითხვაზე მიპასუხებს, მას არ სჭირია მეორეზე პასუხის გაცემაო!“.

დასაფლავება

ორი კაცი დაგვიანებით მივიდა მეგობრის დასაფლავებაზე სწორეთ იმ დროს, როდესაც მღვდელი ლაპარაკობდა გარდაცვალებულის კარგ თვისებებზე, მის კაცთმოყვარეობაზე, გულკეთილობაზე. ერთმა უთხრა მეორეს: „წავიდეთ აქედან, ჩვენ მისამართი აგვრევია, აქ სხვას ასაფლავებენ“.

ღობე ზედმეტია

მარკ ტვენი ზაფხულში სააგარაკოდ პატარა სოფელში იყო. მასთან მივიდა სოფლის რჩეულთა კომისია და სთხოვა — ცოტა რამ შეეწირა სასაფლაოს ღობის გასაკეთებლად.

„არა, —უპასუხა მან. „ჩემგან ერთ გროშსაც ვერ მიიღებთ! რათ სჭირდება სასაფლაოს ღობე? ისინი, ვინც უკვე იქ არიან, ისედაც გარეთ ვერ გამოვლენ და მათ, ვინც ჯერ კიდევ იქ არ იმყოფებიან, უეჭველია სრულიადაც არ სურთ იქ მისვლა!..“

ფელდმარშალი მოლტკე

გერმანიის გაერთიანებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1864, 1866 და 1870-71 წლის ომებს. ამ ომებში გადამწყვეტ როლს თამაშობდა გრაფი მოლტკე, პრუსიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. მოლტკე იყო ფანატიკური მებრძოლი გერმანიის გაერთიანებისათვის, სცდილობდა გაეძლიერებინა სამშობლოს სამხედრო სიძლიერე, რადგან, როგორც თვით იტყოდა, ომი არის ხალხთა გამოცდა თავიანთი დამოუკიდებლობისა და ნაციონალური ცხოვრების უფლებისათვის ბრძოლაში.

გერმანიის იმპერიის მოღვაწეთა შორის მოლტკე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იგი დაიბადა 1800 წლის 26 ოქტომბერს ქალაქ მეტლენბურგში. განათლება მიიღო კოპენჰაგენის კადეტთა კორპუსში. თავისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერა მან დაიწყო დანიის არმიაში. 1828 წელს იგი გადადის პრუსიის მე-8 ქვეითს პოლკში. 1835 წელს გრაფ ჰელმუტ კარლ ბერნგარდტ მოლტკემ დაამთავრა სამხედრო აკადემია და დაიწყო სამსახური გენერალურ შტაბში. ახალგაზრდა ოფიცერი მიემგზავრება აღმოსავლეთში, მთავრობის ნებართვით 1839 წლამდე რჩება თურქეთში, სადაც სულთანის მაჰმუდ მეორის თხოვნით მონაწილეობას ღებულობს თურქეთის არმიის რეორგანიზაციაში და ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ იგი ასრულებს გენერალური შტაბის ერთერთი განყოფილებისა და მეოთხე კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1855 წელს, როგორც პრინც ფრიდრიხ ვილჰელმის ადიუტანტი, მოლტკე მასთან ერთად იმყოფება რუსეთში, საფრანგეთსა და ინგლისში. შემდეგ მას ნიშნავენ გენერალური შტაბის უფროსად. მოლტკე ამუშავებს 1864, 1867,1870-71 წლების კამპანიების გეგმებს და ბრწყინვალედ ანხორციელებს მათ.

ყველაზე ბრწყინვალე კამპანიას წარმოადგენს 1870-71 წლის ომი, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა ომების ისტორიაში. 1870 წლის 30 ივლისს გერმანიის არმია, რომელიც შესდგებოდა 384 ათასი ჯარისკაცისა და 1174 ქვემეხისაგან დაიძრა საფრანგეთისაკენ. 6 აგვისტოს ამ არმიამ დაამარცხა მაკ მაგონას კორპუსი ვერტესთან. 14, 16 და 18 აგვისტოს მეცესთან მოლტკე მტერს ავიწროებს და აყენებს გამანადგურებელ ზარალს, 1 სექტემბერს კანასთან კლასიკური გარემოცვის შედეგად მაკ მაგონა იძულებული გახდა დაეყარა იარაღი. ამით სწყდება მთელი კამპანიის ბედი, თუმცა ომი მაინც გაგრძელდა 190 დღეს.

ამ ხნის განმავლობაში მოლტკემ გადაიხადა 15 მსხვილი და 100 მცირე ხასიათის ბრძოლა, რომელთა უმრავლესობაში იგი გამარჯვებული გამოვიდა. წინასწარი ზავი ხელმოწერილი იყო ვერსალში. ხოლო საბოლოოდ მაინის ფრანკფურტში 1871 წლის 10 მაისს. გერმანიამ ამ ხელშეკრულების ძალით მიიღო ელზასი და ლოტარინგია, 5 მილიარდი სამხედრო ხარჯების შეთავსებით. პარიზში შესვლისას მოლტკეს მიენიჭა გენერალ-ფელდმარშალის სახელწოდება.

სამხედრო მწერლები მოლტკეს აკუთვნებენ შესანიშნავ მხედართმთავართა ჯგუფს და აყენებენ მას პირველ ადგილზე ფრიდრიხ დიდისა და ნაპოლეონის შემდეგ. თავისი სტრატეგიული გეგმებით მოლტკე უშუალოდ წარმოადგენდა ნაპოლეონის მიმდევარს, მაგრამ სტრატეგიული ტექნიკის გამოყენებაში იგი გაცილებით მაღლა იდგა ნაპოლეონზე. მოლტკე თავისუფლად და მოხერხებულად აწარმოებდა ვეებერთელა არმიების მანევრირებას. მის დამსახურებას მიეწერება აგრეთვე გენერალური შტაბის ოფიცერთა შესანიშნავი კონტიგენტის შექმნა, რომელიც სავსებით ჰფლობდა სტრატეგიის ტექნიკას, კარგად ჰქონდა ათვისებული მიმოსვლის გზების გამოყენების ხერხები, ზურგის ორგანიზაცია და სადაზვერვო სამსახური.

მოლტკე ცნობილია აგრეთვე როგორც სამხედრო მწერალი, განსაკუთრებით სამხედრო ისტორიის დარგში. მისი საინტერესო შრომებია „რუსეთ-თურქეთის ომი ევროპის თურქეთში, 1828 და 1829 წ.“ და „წერილები რუსეთიდან“.

1867 წლიდან მოლტკე ჩრდილო-გერმანიის რეიხსტაგის წევრია, 1879 წლიდან მას ვხვდებით პრუსიის პალატაში, იგი მონაწილეობას იღებდა ყველა მნიშვნელოვანი სამხედრო საკითხების გადაჭრაში.

შესწირა რა მთელი თავისი შემოქმედებითი გზნება და ნიჭი სამშობლოს გაერთიანების საქმეს, იგი ჰოესწრო თავისი ოცნების აღსრულებას, ნახა გაერთიანებული გერმანია. დიდი ფელდმარშალი, გენიალური სამხედრო შემოქმედი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1891 წელს.

ლეგ. ა. ნ.

იცით თუ არა თქვენ?

... თუ როგორ ხდება ჰაერის რეგენერაცია წყალქვეშა ნავში წყლის დიდ სიღრმეში ცურვის დროს? წყალქვეშა ნავის ჰერმეტულად დახშულ საკნებში სუნთქვის დროს ხდება მჟავბადის შთანთქმა და ნახშირმჟავა გაზის ამოსუნთქვა (სხვათა შორის ამ გაზს იყენებენ სელტერის წყლის დასამზადებლად). მაშინ, როდესაც სუფთა ჰაერი შეიცავს 21 პროცენტ ჟანგბადს და მხოლოდ მინიმალურ რაოდენობას ნახშირმჟავა გაზისა, ამოსუნთქულ ჰაერში ნახშირმჟავა გაზის რაოდენობა უკვე 4-5 პროცენტს აღწევს. წყალქვეშა ცურვის რამდენიმე საათის შემდეგ წყალქვეშა ნავის საკნებში ნახშირმჟავა გაზის რაოდენობა მიაღწევდა 2 პროცენტს, რაც გააძნელებდა სუნთქვის პროცესს. სწორეთ ნახშირმჟავა გაზის სიჭარბე, და არა მჟავბადის ნაკლებობა გამოიწვევდა დახრჩობის საშიშროებას. ამის თავიდან ასაცილებლად წყალქვეშა ნავის შიგნით ჰაერი მუდმივი წნევის შედეგად ეხება კალიუმის შემცველ მასრებს, რომლებიც ნთქავენ ნახშირმჟავა გაზს და ამგვარად ასუფთავებენ ამოსუნთქულ ჰაერს. ვინაიდან კალიუმის მასრები იხარჯება, ამიტომ საჭირო ხდება მათი გამოზოგვა. წყალქვეშა ნავში მყოფი ადამიანები, რომლებიც არ ასრულებენ სამსახურს, გაურბიან ზედმეტ მოძრაობას, რადგან დასვენებულ მდგომარეობაში ადამიანი ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობით ამოისუნთქავს ნახშირმჟავა გაზს, ვიდრე მუშაობის დროს.

ბანდიტი ტიტო — „სამხრეთ-სლავეთის მარშალი“

თეირანის კონფერენციის დამთავრებისთანავე, ინგლისის მიერ ცნობილი სერბიის ემიგრანტული მთავრობა გამოცხადებული იქნა გაშვებულად. მეფე პეტრესკის ჩამოერთვა ტახტი. კომუნისტ ივანე რიბარის თავმჯდომარეობით უცნობ ქალაქში შესდგა სერბიის კომუნისტთა კრება, რომელმაც ბანდიტი ტიტო გამოაცხადა სამხრეთ-სლავეთის „მარშლად“.

მეფე პეტრესკის ემიგრანტული მთავრობა კაიროში, ამ რეზოლუციას უწოდებს „ტერორისტული გავლენის აქტს“, რომელიც არ შეესაბამება ხალხის სოციალურ და ნაციონალურ სულს“. სერბიის კომუნისტების გადაწყვეტილება გამოწვეულია უცხო სახელმწიფოს ჩარევით“.

ამგვარად სერბიის ემიგრანტთა შორის განხეთქილება ღებულობს საერთაშორისო ხასიათს.

*

იაპონია ომის სამი წლისთავზე

7 დეკემბერს, იაპონიის ომში ჩაბმის ორი წლის გამო, იაპონიის საიმპერატორო მთავარმა სადგომმა გამოაქვეყნა ცნობა იაპონიის მიღწევების შესახებ 1942 წლის დეკემბრიდან 1943 წლის ნოემბრამდე ჩათვლით. ამ ცნობის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში წყნარ ოკეანიზე იაპონიის წინააღმდეგ გამოყვანილია 400.000 კაცი მოწინააღმდეგის დანაკარგი უდრის 193.000 კაცს. ტყვეებისა და გადმოსულთა ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში ჩამოგდებულია მტრის 2.728 თვითმფრინავი და ჩაძირულია 185 ხომალდი.

ჩინეთში იაპონიის არმიის წინააღმდეგ მოქმედებდა 2.370.000 კაცი. მტერმა დაჰკარგა 210.000 კაცი მოკლული. ტყვეთა და გადმოსულთა რაოდენობა 224.627 კაცს აღემატება. ჩაძირულ და დაზიანებულ გემთა რაოდენობა უდრის — 88. გარდა ამისა ხელში ჩაგდებულია 3.466 ნავი და ჩამოგდებულია მტრის 373 თვითმფრინავი.

იაპონიის დანაკარგია 32.962 მოკლული და დაღუპულია 313 თვითმფრინავი.

*

დემონსტრაცია დამასკში

სირიის სატახტო ქალაქში, დამასკში, ჩატარდა დემონსტრაცია მიმართული დე-გოლელთა წინააღმდეგ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ მთავრობის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლად გამოცხადებას. მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ ბრბო მშვიდობიანად გაიფანტა.

მთავარი რედაქტორი
ასმეთ. გაი მაღლაკელიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.
Berlin W 7, Dorotheenstraße 64.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა